ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3290033

ნომერი: AR1502126

თარიღი : 08.05.2017

გაცემის თარიღი : 02.06.2017

გაცნობის თარიღი : 02.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩიტაძე , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მაია თვალიაშვილი პ/ნ 01009001725
- აღმაშენებლის გამზ. 189-ა

ორგანიზაცია:
- შპს ასტორია კოდი: 404856660

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ასტორია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404856660
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მაია თვალიაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01009001725

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 515423
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 24.01.2013

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან დოლიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტორს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N19, 11.05.2017წ), რომლის დასკვნის საფუძველზეც მიეცა დადებითი შეფასება ქ. თბილისში, ჩიტაძის ქ. N12-ში (ძეგლი) მდებარე შენობაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის საკითხს. თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზი, კერძოდ, წარმოდგენილი უნდა იქნას:

- განმარტებით ბარათში მითითებულია გარკვეული სახის სადემონტაჟო სამუშაოები. კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად, ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშოები: ა) დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია; ე) რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია. შესაბამისად, პროექტში და მშენებლობის ორგანიზების პროექტში "სადემონტაჟო სამუშოები" არ უნდა იყოს მითითებული. ხოლო, ამავე კანონის 26 მუხლის შესაბამისად ,,უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა'';
- შშმ პირთა პანდუსები უნდა შეესაბამებოდეს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებს;
- წარმოდგენილი უნდა იქნას მინიმუმ 2 ჭრილი;
- ფასადი 1-7 და ფასადი ე-ო არ შეესაბამება გეგმებს;
- წარმოადგენილი კონსტრუქციული ნაწილის განმარტება არ არის მისაღები. წარმოდგენილი უნდა იქნას განამრტებითი ბარათი კორექტირებულ პროექტთან დაკავშირებით (სპეციალისტის მითითებით) და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროექტი;
- წარმოდგენილი უნდა იქნას კონსტრუქციულ დასკვნა კორექტირებული პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებზე;
- არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტომასალაში უკანა ფასადზე ნაჩვენებია სავენტილაციო მილები და სხვა ტექნიკური დანადგარები, რაც არ ფიქსირდებოდა 2013 წლის 24 იანვრის სამსახურის №515423 ბრძანებით მოწონებულ პროექტში, აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იქნას ზედამხედველობის სამსახურის შესაბამისი აქტი და საჭიროების შემთხვევაში ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.